



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ32.32210545

თარიღი:23/02/2021

**მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების
თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ჯგუფის ხელმძღვანელი - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი - ზაურ ტაბატაძე;
- ბ) ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე - მერის მოადგილე - ლაშა ლობჯანიძე;
- გ) ჯგუფის წევრები:
 - გ.ა) სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
 - გ.ბ) ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი (რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ) ;
 - გ.გ) ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი (რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ);
 - გ.დ) ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი;
 - გ.ე) ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები;
 - გ.ვ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
 - გ.ზ) მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.
- 2. დამტკიცდეს საბიუჯეტო კალენდარი დანართი 1 - ის შესაბამისად.
- 3. დამტკიცდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების და მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ნუსხა დანართების № 2-10 შესაბამისად.
- 4. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ერთი თვის ვადაში შეადგინოს:
 - ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 1) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან და მერიის სტრუქტურული ერთეულებთან (სამსახურები)შეხვედრების განრიგი;
 - ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

- გ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;
- დ) რეკომენდაციები ახლადშემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
- 5. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია, საბიუჯეტო ორგანიზაციების და მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები) კონსულტირება და მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა.
- 6. ბრძანების ოფიციალურად გაცნობად ჩაითვალოს მისი ადრესატისათვის ელექტრონული ფორმით ჩაბარება.

7. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

ზაური ტაბატაძე

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (დროებით
მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

